

პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები საქართველოში -
პრობლემები და გამოწვევები

თამარ ფრუიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში, საჯარო სამართლის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ფრუიძე 2019 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია, მიმოიხილოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობა საქართველოში მონაცემთა ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით ინფორმაციის დამუშავებისას, აგრეთვე მათი ფარგლების განსაზღვრა და მნიშვნელობის ანალიზი, იმ პრობლემების და ხარვეზების წარმოჩენა, რომელიც ჯერ კიდევ გააჩნია კანონმდებლობას და პრაქტიკას. შესაბამისად ნაშრომში შემოთავაზებული იქნება კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც „პრობლემათა გადაწყვეტის რაციონალური, ლოგიკური, და სამართლებრივი გზისკენ იქნება მიპყობილი“.

ნაშრომში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი, ფორმალურ ლოგიკური, ანალიტიკური და ისტორიული კვლევის მეთოდები. შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი საშუალებას იძლევა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების შედარებისა და შეჯერების მეშვეობით ლოგიკურ და თანამიმდევრულ დასკვნამდე იქნეს მსჯელობა წაყვანილი. ანალიტიკური კვლევის მეთოდი თავისთავად გულისხმობს პრობლემათა ანალიზს, რაც კვლავ მსჯელობის ლოგიკურ თანამიმდევრობას განსაზღვრავს და რაციონალური დასკვნის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. ისტორიული კვლევის მეთოდი პერსონალურ მონაცემთა დამცავი კანონმდებლობის განვითარების ეტაპებს წარმოაჩენს და უზრუნველყოფს აღნიშნული განვითარების პერსპექტივის გამოკვეთას.

ნაშრომში შეფასდება საქართველოში არსებული სტანდარტები და საერთაშორისო ვალდებულებები პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით, ასევე შედარებითი კვლევის მიზნით განხილული იქნება ისეთი წარმატებული გამოცდილება როგორც იყო საფრანგეთსა და ჰოლანდიაში.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში, კვლევის საფუძველზე განხილული იქნება საქართველოში არსებული კანონმდებლობის გამოწვევები და უფლების დაცვის ეფექტიანობის მისაღწევად არსებული პერსპექტივები.